



ნახ. ბ. იახვილიძის.

სსკკ
კონსტიტუცია
(ბიჭვინთი კანონი)

პროლეტარიატო ყველა ძველსა, შეერთდით!

თაუთაუ

საპარტიველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საპარტიველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 108 (1834) | გამომცემის 30-18 წელი. | ფასი 3 კაპ.

5
სამშაბათი,
1961 წ.
დეკემბერი

25 წელი გვაშორებს იმ ისტორიული თარიღიდან, როცა საბჭოების VIII საგანგებო ყრილობამ მიიღო სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია, რომელმაც მთელ მსოფლიოს აუწყა კაცობრიობის ისტორიაში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შესანიშნავი გამარჯვებები საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ეკონომიური მშენებლობის ყველა უბანზე და წარმოუდგა მას როგორც ყველაზე უფრო სამართლიანი, ჰუმანური, უმაღლესი დემოკრატიზმის სულიან კვებით გამსჭვალული სახელმწიფო კანონმდებლობა.

ამიტომ, რომ გვიჩინო საბჭოთა ხალხი ყოველ წ დეკემბერს შეიმოს სსრ კავშირის კონსტიტუციის დღეს. მაგრამ წლებადელი წელი გავსაკუთრებულია! დღეს ჩვენი ქვეყანა თავისი დიდი ქარტიის 25-ე

წლისთავს აღნიშნავს განსაკუთრებულ ვითარებაში. მას შემდეგ, რაც მუშაობა დაამთავრა კომუნისტური მშენებელთა ყრილობამ — მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ, რომელმაც გრან-

გაუმარჯოს საბჭოთა კონსტიტუციას!

დიოზული, ჭერ არნახული პერსპექტივები გადაშალა ნათელი მომავლისაკენ — კომუნისტური მსვლელობის დიდი გზაზე.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია საფუძვლად დაედო ექსპლუატაციისაგან გათავისუფლებული ადამიანის განუსაზღვრელ შესაძლებლობათა უსაზღვროდ გაშლას, მის კეთილშობილურ ბრძოლას კაცობრიობის, მომავალ თაობათა კეთილდღეობისათვის, სამართლიანი სოციალური საზოგადოების შექმნისათვის. საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ მსოფლიოში პირველმა სოციალისტურმა საზოგადოებამ ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურისა

და ჩვენი მოღვაწეობის ყველა სხვა უბანზე, განუხრელად აამაღლა საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის დონე და შექმნა ყველა წინამძღვარი სოციალისმიდან კომუნისტური საზოგადოების გაშლილ მშენებლობაზე გადასასვლელად.

და აი, 25 წლის შემდეგ, რაც ჩვენი დიდი სამშობლო აღიჭურვა თავისი ახალი სახელმწიფოებრივი კანონმდებლობით, საბჭოთა ხალხების მოწინავე რაზმმა — მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ თავის ისტორიულ XXII ყრილობაზე უკვე კონკრეტულად, პრაქტიკულად დასახა გზები კომუნისტური საზოგადოების აშენებისა, მიიღო პროგრამა, რომელიც ცხოველმყოფელ შექმნად აკიფდა მთელი მსოფლიოს პროგრესული ადამიანებისათვის მომავლისაკენ მიმავალ გზაზე, და საქვეყნოდ, საზეიმოდ გამოაცხადა, რომ ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნისტური დროს ეს არის თვალნათელი დადასტურება იმისა, რომ დიდი ქარტია — საბჭოთა კონსტიტუცია მოქმედებს და რომ მის ჰუმანურ, უმაღლეს მიზნებს ბრძნული შორსმჭვრეტელობით და თანმიმდევრულად ახორციელებს მარქსიზმ-ლენინიზმის დროის ქვეშ დარაშუილ მშობლიური კომუნისტური პარტიისა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ ახალი შემოქმედებით პათოსით აღაფრთოვანა ჩვენი ხალხები კომუნისტური გაშლილი მშენებლობის განსახორციელებლად, დიდი შედწლიანი გეგმის ვადადე და გადაჭარბებით შესასრულებლად. შედწლიანი გეგმაში ფართო ადგილი აქვს დამოუბილი კომუნისტური მშენებელი საბჭოთა ადამიანების ფიზიკური წრთობისა და ჭანმრთელობის დაცვის საშუალებებს, კერძოდ — ფიზკულტურასა და სპორტს. პარტიის დიდი მიზანდასახულებებით აღფრთოვანებული საბჭოთა ფიზკულტურელები და სპორტსმენები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად იბრძვიან მასობრივ ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობის მძლავრი აღმავლობისათვის.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის დღეს! დიდება ყველა ჩვენს გამარჯვებათა სულიანმადგემელს — კომუნისტთა დიად პარტიას და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!


წოდებათა მინიჭება

საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის პრეზიდიუმმა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა ცურვაში — ტუტაკაევს („სპარტაკი“, თბილისი); ფრენბურთში ვ. გუსევეს („ბურვეესტნიკი“, ბათუმი), დ. გოციბიძეს, ი. მიხანაშვილს, ვ. კუზნეცოვს („ბურვეესტნიკი“, თბილისი).

წყალბურთში — ვ. წიკლაურს, ვ. სანაძეს, ზ. ლომიძეს („დინამო“, თბილისი), წყალში ბტომში — ნუდელს („ბურვეესტნიკი“, გორი); კალათბურთში — ი. ლევაკას („ბურვეესტნიკი“, თბილისი); კლასი-

კურ კიდაობაში — ბიტიას („დინამო“, ქუთაისი), შ. ხარაბაძეს („სპარტაკი“, ბათუმი). თავისუფალ კიდაობაში — ვ. ურიდიას („განთიადი“, სოხუმი), ო. ასათიანს, ზ. ლეშკაშვილს, ვ. კოსტავას („განთიადი“, ქუთაისი). საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა: სათბილამურო სპორტში — მიქაბერიძეს, ვ. თომევეს, ს. პეტროსიანს (ბაქურიანი); ნიჩბოსნობაში — ვ. შერვაშიძეს (თბილისი); კალათბურთში — ო. შარაშენიძეს, ვ. ჩიქოვავას (სამტრედია); ძალსნობაში — რ. გუშაიანს (თბილისი).



ქართველოს, კერძოდ — თბილისის სპორტული ცხოვრებით. მათი დიდი ინტერესი განსაკუთრებით იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ საბჭოთა ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში თავი იჩინა ახალმა, პრო-

გრესულმა ფორმამ — საწარმოთა სპორტული კლუბების ჩამოყალიბებამ და რომ თბილისს უკვე სამი ასეთი სპორტული კლუბი აქვს. სტუმრებმა მაშინვე გადაწყვიტეს გაცნობოდნენ პირველ მათგანს —

„გამარჯვებას“ (ჩარხსაშენი ქარხნის სპორტკლუბი). სურამში: ბალეტის წევრები თბილისის ჩარხსაშენი ქარხნის მუშა-მოსამსახურებთან. ფოტო მ. ზარგარიანისა.

კომორც ცნობილია, თბილისში, სპორტის სახალხეში გასტროლებს ატარებს ჩეხოსლოვაკიის ბალეტი ყინულზე „ევროპის გულში“. ცნობილია ისიც, რომ ბალეტის მოცეკვავეთა დიდი ნაწილი სპორტსმენებია, მათ შორის — სპორტის ოსტატები, ჩეხოსლოვაკიისა და ევროპის ჩემპიონებიც კი. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ჩვენი სტუმრები დაინტერესდნენ სა-

სულიერი სიღლიდრის, მოსალური სიწინდლისა და ფიციკური სრულყოფისათვის

ჩვენი ქვეყნის პროფკავშირული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ატარებენ საბჭოთა მშრომლების ფიციკური გაჯანსაღებისათვის. მთელს საბჭოთა ხალხთან ერთად, ჩვენი ფიციკულტურული არმია უკვე ჩაება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარების საქმეში. ამას წინათ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალურმა საბჭომ მიიღო დადგენილება „ფიციკულტურული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა, მასალების პროპაგანდისა და ახსნა-განმარტების დარგში“. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ყრილობის მასალების განხილვა უნდა დაუკავშირდეს მასობრივ ფიციკულტურული მუშაობის შემდგომ აღმავლობას, ფიციკულტურული კოლექტივების მუშაობის გაუმჯობესებას, სპორ-

ტული ოსტატობის ამაღლებას, საბჭოთა ადამიანების ყოფაში ფიციკური კულტურისა და სპორტის დანერგვის საქმეს. სწორედ ამ ხაკობს მიეძღვნა ამას წინათ მოსკოვში გამართული პროფკავშირების ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საბჭოს პლენუმი. კომუნისმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში საბჭოთა პროფკავშირები დიდ ძალას წარმოადგენენ. განსაკუთრებით დიდია მათი მნიშვნელობა მშრომელთა გაჯანსაღების ბრძოლის საქმეში. სწორედ აქ უნდა თქვან თვიანთი გადაწყვეტი სიტყვა პროფკავშირებმა, რომლებიც აერთიანებენ ფიციკულტურის 27 ათას კოლექტივს და ჩვენს ქვეყანაში წამყვანი როლი უკავიათ სპორტის მთელ რიგ სახეობებში. მართო პროფკავშირების VII სპარტაკიადზე მონაწილეობა მიიღო 10 მილიონმა კაცმა. მაგრამ ეს წარმატებები უფლებას არ გვაძლევს თვითკმაყოფილე-


ბას მივეციტო. პლენუმმა დასაბამთეული რაგი სერიოზული ამოცანები, რომლებიც მოითხოვს დაუყოვნებელ შესრულებას, ეს არის ჩვენი ქვეყნის ფიციკულტურის ძირითადი რგოლის — ფიციკულტურის კოლექტივების შემდგომი განმტკიცება, საზოგადოებრივი აქტივის ფართოდ მოზიდვა, ბრძოლა ახალადამიანის აღზრდის, სულიერი სიმდიდრის, მოსალური სიწინდისა და ფიციკური სრულყოფისათვის. პლენუმის მონაწილეებმა დიდი ყურადღება დაუთმეს მშრომელთა შორის გამაჯანსაღებელ მუშაობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას, რომ რაც შეიძლება მეტი გაკეთდეს ტურიზმის, საწარმოო ტანვარჯიშის, აქტიური დასვენების სხვა საშუალებების მუშა-

თა და მოსამსახურეთა შორის ფართოდ დანერგვის საქმეში. ტურიზმი — სპორტის მამოზიდველი და სასარგებლო სახეობაა, რომლის განვითარებისათვის ჩვენთან ყველა პირობაა. პლენუმზე ბევრი კრიტიკული შენიშვნა გაკეთდა იმის შესახებ, რომ პროფკავშირების სპორტული საზოგადოებების ხელმძღვანელთა მიმართ, რომლებიც ხშირად ივიწყებენ გამაჯანსაღებელი მუშაობის ამ უბრალო, ხელმისაწვდომ ფორმას. 1961 წლის (1-იანვრისათვის) სტატისტიკური ანგარიშების გაცნობისას აღმოჩნდა, რომ პროფკავშირულ-სპორტულ საზოგადოებებში ტურიზმის სპორტში მეცადინეობს 742 ათასი კაცი, მაშინ, როცა საკითხი დგას ყოველწლიურად მასობრივ ტურისტულ ლაშქრობებში მონაწილეობდეს 30-40 მილიონი კაცი. ტურიზმი უნდა გახდეს ფიციკულტურის ყველა კოლექტივის, სპორტულ საზოგადოებათა ზრუნვის მთავარ საგნად. ასეთი იყო პლენუმის მონაწილეთა მოთხოვნა. საწარმოო ტანვარჯიში — მუშათა და მოსამსახურეთა შრომისა და ჯანმრთელობის ამაღლების ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა. ამისათვის პლენუმზე დიდი ყურადღება მიექცა ფიციკულტურული შესვენებების ჩატარების ორგანიზაციის საკითხს. პლენუმმა გადაწყვიტა 2 წლის განმავლობაში საწარმოო ტანვარჯიშის მეცადინეობაში ჩამოეყვანა 25-30 მილიონი კაცი. პლენუმის ყველა მონაწილემ ერთსულფონად პირობა დასდო საკავშირო საბჭოს წინაშე, რომ ის

ამოცანები, რომლებიც ჩვენი პარტიის XXII ყრილობამ დაუბამა საბჭოთა სპორტმშენებელს, შესრულებული იქნება. პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც მიმართულია პარტიის ისტორიული ყრილობის მიერ დასახული გეგმების ცხოვრებაში გატარებისათვის.

მეგობრობის მატრი

ლენინბაბანი. (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.) აქ შედგა დიდი დღესასწაული — ქართველ და სომეხ სპორტსმენთა მეგობრობის ზეიმი. ქალქის სტადიონზე, სპორტულ მოედნებზე, რკინიგზეთა კულტურის სახლში გაიმართა ამხანაგური შეხვედრები ლენინკანის, ქუთაისისა და თბილისის სპორტსმენთა მონაწილეობით. სპორტმამაშების მოედანზე ერთმანეთს შეხვედრენ ლენინკანისა და ქუთაისის ფრენბურთელ ქალთა გუნდები. პირველი წუთებიდან აშკარა იყო ქუთაისელთა ტექნიკური უპირატესობა და ორი პარტია მათი გამარჯვებით დამთავრდა — 15:0, 15:0. მესამე პარტიაში ლენინკანელებმა შეძლეს ერთვარი უპირატესობის მოპოვება და ანგარიში გახდა 2:1 (მესამე პარტიის შედეგია 15:12), მაგრამ ეს იყო მასპინძელთა უკანასკნელი წარმატება. მეოთხე პარტია და მასთან ერთად შეხვედრაც მოიგეს ქუთაისელმა ფრენბურთელებმა. აქვე ჩატარდა კალათბურთელთა მატრი. თამაშობდნენ ისევე ქუთაისისა და ლენინკანის კოლექტივები. ვაჟთა გუნდების ბრძოლა თანაბარ ვითარებაში მიმდინარეობდა. სომეხმა სპორტსმენებმა პირველი ნახევარი მოიგეს ანგარიშით 30:22. შესვენების შემდეგ ქუთაისელებმა გამოიჩინეს გამარჯვებისადმი დიდი სწრაფვა და საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე, როცა ანგარიში იყო 58:58 ლენინკანელთა სასარგებლოდ, ქუთაისელებმა მოწინააღმდეგის კალათში მოათავსეს გადამწყვეტი ბურთი და გაიმარჯვეს — 60:59. კულტურის სახლში მოეწყო მოკრივეთა შეხვედრები. საქართველოს გუნდიდან გამარჯვება მოიპოვეს ქ. კვანტლიანმა, ბ. ხარლაპიძემ, შ. ფრორიანმა, ი. ვოსკანიანმა, მ. სვანიძემ. სხვა შეხვედრებში უპირატესობა სომხეთის სპორტსმენთა მხარეს იყო. ს. ბრიგორიანი



ამ რამდენიმე დღის წინათ თბილისში, საბა-სულხანის ქუჩაზე, ექსპლუატაციაში შევიდა სპორტ-საზოგადოება „განთიადის“ კეთილმოწყობილი საქიდაო დარბაზი. აქ უკვე ჩატარდა პირველი რესპუბ-

ლიკური შეჯიბრება. ამჟერად ერთმანეთს პირველობას ეცილებოდა სპორტსაზოგადოება „განთიადის“ კლასიკური სტილით მოჭიდევება 7 ნაკრები გუნდი აფხაზეთიდან, აჭარიდან, ქუთაისიდან, გორიდან,

ქიათურიდან, რუსთაიდან და თბილისიდან. სპორტსაზოგადოება „განთიადის“ რესპუბლიკური საბჭოს ჩემპიონობა წილად ხედათ ქუთაისელ მოჭიდევებს. მეორე ადგილზე გავიდა თბილისის გუნდი, მესამე — აჭარის ნაკრები კოლექტივი. სპორტსაზოგადოება „განთიადის“ საქიდაო დარბაზის ხაერთო ხელი.

თბილისისა და ბაქოს მოცურავეთა სამატრო შეხვედრის მეორე დღემ ახალი გამარჯვება მოუტანა ჩვენი დედაქალაქის კოლექტივს. თუ წინა დღეს ბაქოელებმა 8 დისტანციიდან ორ შემთხვევაში მინც შეძლეს პირველი ადგილის მოპოვება, ამჟერად მასპინძლები უფრო „გაიკანდიერდნენ“ და სტუმრები აიძულეს მხოლოდ მეორე ან მესამე ადგილებით დაემყოფილებულიყვნენ.

გამოსულს შორის 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ქალთა ცურვაში. ამ სახეობაში პირველობისათვის იბრძოდნენ საქართველოს რეკორდსმენი გოგონათა შორის ი.

ზე ამავე სტილით შეჯიბრებაში. ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ ბაქოელმა ი. ფოკინმა, რომელმაც მესამე ადგილი მოიპოვა (5.15,8 წწ.) სათანადო წინააღმდეგობა ვერ გა-


სტილით ცურვაში გამარჯვებული ე. შავლია, ხოლო ბაქოელებმა გამოიყვანეს ამ სტილით 100 მეტრზე ცურვაში გამარჯვებული ა. პიჩუგინა. შავლიამ ამჟერადაც გაიმართა იმედი და 2.53,2 წამის შემდეგ დაამთავრა შეჯიბრება, ხოლო ბაქოელმა 2,5 წამით გვიან.

ბ. კამინსკიმ (თბილისი) კიდევ ერთი პირველი ადგილი მოუტანა თავის კოლექტივს. მან 200 მ ზურგზე ცურვაში აჩვენა 2.31,1. ბაქოელი გ. კალიანდრა დარჩა მესამე ადგილზე, რადგან მას აჯობა თბილისელმა ე. ხშიჩანამა.

მესამე დღეს გაიმართა ესტაფეტები. თავისუფალი სტილით 4x100 მ ქალთა შორის მოიგეს თბილისელებმა, რომლებმაც აჩვენეს 5.17,3. ბაქოელებმა დაიკავეს მეორე ადგილი — 5.29,0. ვაჟთა შორის უპირატესობა კვლავ მასპინძლებს დარჩათ. მათ 23,5 წამით აჯობეს მოწინააღმდეგეს.

თბილისელი მოცურავეების უპირატესობით აღინიშნა კომბინირებული ესტაფეტებიც. 4x100 მ ქალთა შედეგია 5.34,0, ხოლო ვაჟებისა — 4.46,0.

ამრიგად, სამატრო შეხვედრები თბილისისა და ბაქოს მოცურავეთა შორის დამთავრდა თბილისელთა დამარჯვებელი გამარჯვებით.



თბილისელები პირველები იყვნენ ყველა დისტანციაზე

ქალთა შორის 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში, თბილისელებმა ოსტატმა ლ. კრილოვამ 7,5 წამით ადრე დაამთავრა შეჯიბრება, ვიდრე მეორე ადგილზე გამოსულმა მისმა თანაგუნდელმა ბ. გულაიციკიამ.

ამინაშვილი, მისი თანაგუნდელი ა. ბერიძე, ლ. ბერძენიშვილი, ბაქოელი გ. შური და სხვები. სტარტის პირველივე მეტრებიდან დაწინაურდა ამინაშვილი და ეს უპირატესობა თანდათან გაზარდა, რომელმაც ფინიშზე 8,9 წამს მიაღწია. ი. ამინაშვილმა აჩვენა 6.08,6 წამი. მეორე ადგილზე გამოსული ანგარიშის ჩემპიონი გ. შურის შედეგია 6.17,5.

უწია გამარჯვებულებს ტ. კარბუკოვს — 4.59,2 წწ. და ი. ბინიუკოვს — 5.14,3 (ორივე თბილისიდან).

ამ დღეს მოწინააღმდეგეებმა ძალები სცადეს კიდევ სამ სახეობაში. 200 მ დისტანციაზე ვაჟებმა და ქალებმა ზურგზე და ამავე დისტანციაზე ვაჟებმა ბრასით ცურვაში. სამჯერვე თბილისელებმა თავიანთ კოლექტივს მოუტანეს ქუალთა მაქსიმუმი. პირველში — ვაჟთა შორის 200 მეტრზე ბრასით ცურვაში სამივე სპორტო ადგილი თბილისელებს დარჩათ, მაგრამ ბრძოლა მინც სპორტერსო იყო, რადგან სტარტზე დადგა ორი ძლიერი მოწინააღმდეგე საქართველოს რეკორდსმენი ი. ფუნიკოვი და ა. ტუტაკევი. გამარჯვება შედარებით გამოცდილმა ფუნიკოვმა — 2.48,2.

ერთადერთი სახეობა, სადაც ბაქოელები თავგამოდებით იბრძოდნენ, ქალთა 200 მ ზურგზე ცურვა იყო. აქ, თავის საყვარელ სახეობაში თბილისის გუნდის ინტერესს იცავდა წინა დღეს თავისუფალი

დაბალი შედეგი იქნა ნაჩვენები ვაჟთა შორის იგივე დისტანციაზე. „შრომითი რეზერვების“ გუნდის 10 მოკრივედან ექვსმა მოიპოვა გამარჯვება, თავის მხრივ არმიელებმა ოთხი გამარჯვება მოიპოვეს. ამგვარად, „შრომითი რეზერვების“ გუნდმა დაამარცხა მოწინააღმდეგე ანგარიშით — 6:4 და გაინაღდა ოქროს მედლები და ჩემპიონის გარდაამავალი პრიზი.

„შრომითი რეზერვების“ მოკრივეები — ჩემპიონები

ვიეში დამთავრდა საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა კრივში. ფინალში გავიდნენ „შრომითი რეზერვების“ და ცსკა-ს მოკრი-



ყველა დიდ თეორეტიკოსს უწოდებდა, ვინაიდან პარტიებში მუშაობდა პოლიტიკურ ლეგალიზაციას.
— ჩემთან მოხატული მდგომარეობაც კი მიიღო, — შენიშნა ნონამ. ჩვენ ვითხოვთ მუნდსტრენის შეხახებ. ეგი მს წლის კოლოდო, არაბ მოსკოლს — ხვევს მსკოლონი ინსტიტუტის მსკოლის სტუდენტი. ამასთან უწოდებოთ თამაშის კარგი ბუნებრივი ნიჭით დაჭილღობული.

— უცნაური იყო ამერიკელი ლეონი, — განაგრძო მ. შიშოვმა. — ციოდა თავისი ხილამაზის ამბავი და ცდილობდა სულ ობიექტივის წინ უფილიყო. როცა პარტიას წააგებდა, დემონსტრაციულად ტოვებდა დარბაზს, ბლანკს ხელსაც არ აწერდა.

ბევრი საინტერესო გაიხსენებდა მ. შიშოვმა და ნ. გაფრინდაშვილი. მათ ილაპარაკეს მეგობრულ ატმოსფეროზე, რომელიც ტურნირზე სუფევდა, მხაჩებზე, მაყურებლებზე, თვით უფლებიანებზე და სახარულ რიგებში მოჭადრაკე

დიდი სიყვარულით გვიწარება იმ თბილ მილოცვებზე, რომლებიც მიიღეს იუგოსლავიაში სამშობლოდან.

სოხუმში მატარებელში ამოვიდნენ ზუგდიდის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, რომლებმაც საამაუო მოჭადრაკე, მისი მწვრთნელი, ქართული ჰადრაკის მესვეურნი მიიწვიეს ნონას მშობლიურ ქალაქში ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხისა და ცხაკაიას მშრომელებთან შეხვედრისათვის.

მ. გომრბაძე
მოსკოვი — თბილისი

სპორტულმა საზოგადოებრიობამ თავისი აღტაცება გამოხატა ნონას დიდ წარმატებებზე, როცა თბილისის ვოგაზულზე გულბობილი შეხვედრა მოუწყო. სურათზე თქვენ ხედავთ ნონა გაფრინდაშვილს (შუაში) მეგობრების წრეში (მარცხნიდან) ე. კაკაბაძესთან, ა. ჩაიკოვსკაიასთან, ლ. წერეთელსთან, ლ. ნაჭვებიასთან და მ. ტოგონიძესთან.

კითხვა: როგორია თქვენი პროგნოზები?

პასუხი: წონითი კატეგორიების ახალ შეფარდებებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ქილობის ორივე სახეობაში დიდი პოტენციური შესაძლებლობები შეკვამა რუსეთის ფედერაციის ნაკრებმა გუნდმა. კლასიკურ ჰილობაში გაზარდების დიდი შანსები აქვს ბელორუსის ნაკრებს (შარაშან მათ I ადგილი მოიპოვეს). კლასიკურ ჰილობაში, ჩვენი აზრით, ძალზე ძნელი ბრძოლა გადგვხვდება საპრობო ადგილისათვის. საქართველოს ნაკრებში ყველაზე მტკივნეული ადგილია უმჩატესი და ქვესაშუალო წონა. ახალმა წესებმა ისეთი ძლიერი მოჭადრაკეები, როგორებიც არიან ა. ქორაძე და დ. გვანცელაძე ერთ წონით კატეგორიაში (მსუბუქი წონა) მოახვედრა. ფაქტი ერთია, რომ ნაკრებმა მთელი ძალები უნდა დააბოლოს, რათა სულ მცირე, მესამე საპრობო ადგილზე გაედიეს. თავისუფალი სტილით მოჭადრაკეობა ნაკრები ამ მხრივ უკეთეს მდგომარეობაშია, ჩვენის აზრით მათ II ადგილისათვის ბრძოლა მეტი სითამამით შეუძლიათ.

„ომგადახლილთა“ მოგონებანი

მატარებელი თითქმის ამოუსუნთქავად მიგვაქროლებდა თბილისისაკენ. გზა გრძელი გვექონდა, დროც ბევრი. ამიტომ ნ. გაფრინდაშვილი და მ. შიშოვი აუჩქარებლად მოგვიტობდნენ იუგოსლავიის ამბებს. ისინი იხსენებდნენ ბრძოლის კრიტიკულ მომენტებს, განცდებს, სიხარულს...
— როცა სტარტზე ნონამ მოუგო ბორისენკოსა და ვოლოპერტს, ვიფიქრე, საქმე კარგად გვაქვს, — ამბობს შიშოვი. პრეტენდენტობის იმედიც მომეცა.
— მაინც ყველაზე საინტერესო იყო ნონას შეხვედრა ლაზარევიჩთან, — განაგრძო მწვრთნელმა, — ყველამ იცოდა თუ რა სპორტული მნიშვნელობა ჰქონდა მას პირველი ადგილისათვის. ამიტომ თავიდანვე ყველა ოსტატი ვატაცებოთ ადევ-

ნებდა თვალს ამ პარტიას. გაიხსენეთ პოზიცია, სადაც ნონამ მეფით გააკეთა ერთადერთი სვლები, როცა ნონას პირველად უნდა ეთამაშა მეფით, იგი დიდხინით ჩაფიქრდა. გავიდა ხუთი, ათი, ოცი წუთი და ნონა ხვლას არ აკეთებდა. დარბაზში ჰაერი მეცოცავა, გარეთ გამოვვარდო, იქ მხოლოდ კონსტანტინოპოლსკი დარჩა. ნონას პოზიცია ბევრზე კეთილა.
— გააკეთა სვლა, — მორბინა იუგოსლაველმა ოსტატმა ჩირჩინმა. შევცვივდი და დარბაზში.
— ამ ხვლისათვის ნონას ვანიჭებ ოსტატობის კანდიდატობას, —

თქვა ბონდარევიჩი. მაგრამ მოიცაო, კიდევ მეფით უნდა ითამაშოს, თორემ...
კვლავ დავიწყეთ ლეღვა. კვლავ აღარ გვეყო ჰაერი. ნონამ არ გვიმტყუნა — მეფით გააკეთა სვლა.
— ახლა, გეფიცებით, ოსტატობა ეკუთვნის, — გადმოგვძახა ბონდარევიჩი. შემდეგ ნონამ მეფით კიდევ ერთი უზუსტესი სვლა გააკეთა და საშამათო ქსელში გაახვია ლაზარევიჩის მეფე.
— ეს კი გროსმაისტერული სვლა იყო, — დაასკვნა უნგრელმა ოსტატმა სილადიმ.
— ყველამ მომილოცა გამარჯვე-

ბა, — ჩაურთო სიტყვა ნონამ. — გამაკვირვა მხოლოდ ჩირჩინის ხელის ჩამორთმევამ და სიტყვამ — „გამადლობო“. არ მოველოდი, იგი ხომ ლაზარევიჩის ქომაგია.
შემდეგ მ. შიშოვმა მოგვიტობრო ტურნირის მონაწილეებზე, მწვრთნელებზე. მან აღნიშნა, რომ იუგოსლაველი მოჭადრაკეები არაფრით ჩამოუვარდებიან საბჭოთა ოსტატებს. მაგრამ მათ დიდი შეცდომა დაუშვეს, როცა ნედელკოვიჩი დატოვეს უმწვრთნელად. მისი შეუღლე ხაერთაშორისო ოსტატი ნედელკოვიჩი, პროფესიით ექიმი, ხანგრძლივ სამეცნიერო მიგლინიბაში გააგზავნეს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამის გამო მართა ვერა ნედელკოვიჩის დაწვა ოჯახზე წრუნვა (მას ორი შვილი ჰყავს), მწვრთნელადაც სხვა მიაშარეს. ამან ერთგვარი ზიანი მიაყენა ამ ნიჭიერ მოჭადრაკეს. ლაზარევიჩი კი არ იცავდა სპორტულ რეიუმს.
— კარგი მოჭადრაკეა მუნდსტურენი, — თქვა მ. შიშოვმა, — მას

უახლოეს დღეებში

ჩვენი კორესპონდენტი ეწვია საქართველოს სსრ სახელმწიფო მწვრთნელს ჰილობაში, სსრკ დამსახურებულ მწვრთნელს ვ. კუხიანიძეს და იმასთან დაკავშირებით, რომ რამდენიმე დღეში დაიწყება გუნდური საკავშირო ჩემპიონატები კლასიკურ და თავისუფალ ჰილობაში, მას რამდენიმე კითხვა მისცა.

კითხვა: როდის და სად ტარდება გუნდური საკავშირო ჩემპიონატები კლასიკურ და თავისუფალ ჰილობაში?

პასუხი: კლასიკურ ჰილობაში ჩემპიონატი ჩატარდება თბილისში, მიმდინარე წლის 11 დეკემბრიდან 14 დეკემბრამდე, 14-17 დეკემბერს კი ლენინგრადში ერთმანეთს პირველობას შეეცილებიან თავისუფალი სტილით მოჭადრაკეები გუნდები.

კითხვა: როგორ ემზადებიან ამ საპასუხისმგებლო ასპარეზობისათვის საქართველოს მოჭადრაკეები?

პასუხი: ჩემპიონატებისათვის მზადების აკორდი იყო ამას წინათ ჩატარებული საქართველოს პირად-გუნდური პირველობები კლასიკურ და თავისუფალ ჰილობაში. ამ პირველობებზე მოჭადრაკეთა ძველ გვარდიას ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა სპორტსმენი ამოუღდა გვერდში. საკავშირო ჩემპიონატებისათვის მზადებაში დიდი როლი ითამაშა ამ წელიწადს ჩატარებულმა საერთაშორისო ამხანაგურმა შეხვედრებმა. ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის მოჭადრაკეები ინტენსიურად ემზადებიან მომავალი ბატონებისათვის. მათთან მუშაობენ გამოცდილი მწვრთნელები. თავისუფალი სტილით მოჭადრაკეთა ნაკრების წევრებს წვრთნიან მ. თიკანაძე (მთავარი მწვრთნელი), ვ. ილურიძე, შ. ნოზაძე და ვ. ბალავაძე. კლასიკური სტილით მოჭადრაკეებთან მუშაობენ — ვ. კუხიანიძე (მთავარი მწვრთნელი), ლ. კაპიტონოვი, პ. იორდანიშვილი და ლ. ძეკონსკი.

კითხვა: ვინ დაიცავს საკავშირო ჩემპიონატებზე ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას?

პასუხი: ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ჯერ კიდევ ძნელია, თუმცა ზოგიერთ წონაში ეს უკვე გარკვეულია. მაგალითად, კლასიკურ ჰილობაში ვეფიქრობთ, რომ გუნდის შემადგენლობაში პირველ

ნომრებად იქნებიან ა. ქორიძე (მსუბუქი წონა), დ. გვანცელაძე (ქვესაშუალო წონა), ვ. გველესიანი (საშუალო წონა) და რ. აბაშიძე (ქვემძიმე წონა). დანარჩენ წონით კატეგორიებში ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასარკვევი. ვინ იქნება ნაკრების წევრი? — ეს უნდა გაირკვეს ამ რამდენიმე დღეში, ხ. მირიანაშვილსა და ბ. შელას შორის (უმჩატესი წონა), მჩატე წონაში სამი კანდიდატი გვეყავს: ო. ევაძე, ხ. უგრებელიძე და ხ. ნუცუბიძე, ასევე გაურკვეველია ვინ იქნება ქვემსუბუქ წონაში პირველი, რადგან მ. ლულუშაურიც ბრელი სამედიცინო ოპერაციის შემდეგ დიდი ხანი არაა რაც ვარჯიში დაიწყო. ამჟამად წონაში გვეყავს კარგი და მზარდი მოჭადრაკე რ. რურუა. მან ამას წინათ ჩატარებულ საერთაშორისო შეხვედრებში ისახელა თავი. მძიმე წონის მოჭადრაკეთა შორის გვეყავს ორი ოსტატი — ა. ხაბიუშვილი და თ. ხითარიშვილი. სწორედ მათ შორის უნდა გაირკვეს უძლიერესი.

თავისუფალი სტილით ჰილობაში ერთმანეთს პირველობას ეცილებიან: ხ. შეყრილაძე, ხ. მონასელიძე (უმჩატესი წონა), ვ. არსენიანი, ხ. მჭედლიშვილი (მჩატე წონა), ვ. ჯუბაშვილი, ნ. ხოხაშვილი (ქვემსუბუქი წონა). ამ ორი მოჭადრაკის შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთში საერთაშორისო შეხვედრების დროს ორივემ თავი ისახელა და გამარჯვებებით დაამთავრა თავისი შეხვედრები. გარდა ამისა ნ. ხოხაშვილმა ამას წინათ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გერმანულ ანტი-ფაშისტის ზილბინდერის ხსოვნისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში ბრწყინვალე გამარჯვებით მოიპოვა და ზილბინდერის თასის მფლობელი გახდა. შემდეგ წონით კატეგორიებში პრეტენდენტები

არიან: ხ. ბერიანიშვილი, ა. გვირაძე, ვ. მახარაძე (მსუბუქი წონა), გ. სხირტლაძე, მ. საღარაძე, ვ. დავლიანიძე (ქვესაშუალო წონა), შ. ლომიძე, გ. გობეჯიშვილი (საშუალო წონა), ნ. გოგბედაშვილი, ვ. თევზაძე (ქვემძიმე წონა), ო. კანდელიშვილი და ა. კიანაძე (ძიმე წონა).

კითხვა: რა არის ახალი ჰილობის წესები?

პასუხი: ჰილობის საერთაშორისო წესებში საკმაოდ ბევრი ცვლილებაა, ახალი წესები ძალაში შევიდა 1962 წლის 1 იანვრიდან. თუმცა საბჭოთა მოჭადრაკეები შეხებაშისი გამოცდილების მიღებით მიზნით უკვე ამ ახალი წესებით მუშაობდნენ წვრთნასა და შეჯიბრებების ნატარებს. ახლა რა არის ახალი? — ჰილობის ხანგრძლიობა 12 წუთიდან 10 წუთამდე შემცირებულია. ჰილობის დაწყებიდან 5 წუთის შემდეგ მოჭადრაკეებს ეძლევათ ნახევარწუთიანი შესვენებისა და მწვრთნელებს კი მოჭადრაკეებისათვის რჩევა-დარიგების უფლება. ძველი წესებიდან ამოღებულია ჩოქბაქში შენაცვლებით ჰილობა. გარდა ამისა, წინათ მოჭადრაკეს პასიური ჰილობისათვის ეძლეოდა სამი ფერითხილება, ახალი წესებით კი იგი ორამდე შემცირდა. ამასთან დაკავშირებით ჰილობის ტაქტიკა შეიცვალა. ახლა პასიური ჰილობისათვის სპორტსმენი სასტაქად ისევე, რომელიც შეჯიბრებიდან მოხსნით გამოიხატება ხოლმე, ახალი წესების მიხედვით შეიცვალა წინითი კატეგორიებიც.

უკანასკნელი შეხვედრები

სარბობი. (ტელეფონით). 3 დეკემბრის აქ გამართა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს წყალბურთელთა პირველობის უკანასკნელი შეხვედრები. ყველაფერი გაირკვა I-II ადგილის გარდა, რადგან სსრკ კავშირის ჩემპიონის საკითხი უნდა გადაწყვიტოს მოსკოვის „დინამოსა“ და ვმფსს შეხვედრამ. 3 დეკემბერს მოსკოვის „ბურევესტიკისა“ და კავს გუნდების მატჩმა უპირატესობა ვერც ერთ მხარეს ვერ მოუტანა და თამაში დამთავრდა ფრედ. ეს საქმარისი იყო იმისათვის, რომ სტუდენტებს მესამე საპრობო ადგილი მოეპოვებინათ. მოსკოვის „დინამომ“ დაამარცხა „ტრუდი“ — 5:2, ვმფსს — ლენინგრადის „ბალტიკა“ — 4:2, თბილისის „დინამომ“ — ლოვოვილი თანაკლუბელები — 3:0.


ბათამაშვილის ცხრილი

თ. მ. ფ. წ. ქ.	თ.	მ.	ფ.	წ.	ქ.
„დინამო“ მ.	13	11	2	0	24
ვმფს	13	11	1	1	23
„ბურევესტიკა“ მ.	14	7	4	3	18
„დინამო“ თბ.	14	8	1	5	17
კვფ ბაქო	14	2	4	8	8
„დინამო“ ლვ.	14	3	2	9	8
„ბალტიკა“ ლდ.	14	1	4	9	6
„ტრუდი“ რსფსრ	14	1	2	11	4

მსოფლიოს უძლიერეს ფეხბურთელად მიჩნეულმა პელებმა აქამ წინათ გამოსცა ავტობიოგრაფია სათაურით — „მე ვარ პელი“. ამ წიგნში მოთხრობილია „შვიდი ბრილიანტის“ მოკლე, მაგრამ უაღრესად საინტერესო სპორტული კარიერის შესახებ. თუ როგორ დაიწყო მან ფეხბურთის თამაში ქუჩის გუნდში და ა. შ. ავტორი ლაპარაკობს წერტილის მეთოდებზე და საკუთარ სპორტულ რევიმზე. წიგნის ძირითადი ნაწილი ეთმობა

უდიდეს სპორტულ შეჯიბრებას პელეს ცხოვრებაში — მსოფლიოს ჩემპიონატს.


წიგნმა ბრაზილიაში უდიდესი ინტერესი გამოიწვია და იგი მაშინვე დაიტაცეს. აქამდე მზადდება პელეს წიგნის მეორე გამოცემა. პელებმა დართო გამოსცენ მისი წიგნი ინგლისურ და გერმანულ ენებზეც. როგორც ბერლინის გაზეთი „ლოიჩენ შპორტელო“ იუწყება, ამ ნებათაშინაობის პელები მიიღო დიდი თანხა — 23 მილიონი კრუსერიო.



ორი პრაზიკანტი

გღრ-ის თანამედროვე ხუთქილის ფედერაციის პრეზიდენტი ცნობილი ანტაფოსტიკი ფრანკოსტულო ესპანეთის წინააღმდეგ მებრძოლი ინტერნაციონალური ბრიგადის ყოფილი ჯარისკაცი ფ. მიულერი.

გღრ-ის თანამედროვე ხუთქილის ფედერაციის პრეზიდენტად ახლახან არჩეულ იქნა ზენდესვერის გენერალი, პიტლერული არმიის ყოფილი გენერალი, სამხედრო დამნაშავე პ. პაქა, რომელსაც 25 წლის პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. აქ უკვე კომენტარება ზედმეტია.



სპორტის სასახლე.

ნახ. ლ. კაიდარაშვილისა.

მართალია, ჩვენს ქურნალ-გაზეთებში წერდნენ იმის შესახებ, რომ ს. მეტიუზი „ბლეკულისა“ დაუბრუნდა თავის ძველ კლუბს „სტოკ-სიტის“. უცხოეთში, კერძოდ, ინგლისის პრესაში ამ ამბავმა ნამდვილი ფურორი მოახდინა. სტენლი მეტიუზს არასოდეს არ აკლდა ყურადღება კორესპონდენტთა მხრივ, ახლა კი იგი განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია, მასზე გაუთავებლად წერენ.

რამა საქმე? რამ გამოიწვია ასეთი გაძლიერებული ინტერესის ტალღა ფეხბურთელის მიმართ, რომელიც კარგა ხანია მიაღწია თავისი ბრწყინვალე კარიერის ბოლო საფეხურებს?

სტენლი მეტიუზი არაა მხოლოდ უმაღლესი კლასის ფეხბურთელი ამ სიტყვების ვიწრო გაგებით. ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში მას უჭირავს საგანგებო ადგილი, რომელთანაც ანალოგიის გატარება შეუძლებელია. დიდ ბრიტანეთში მისი სახელი ლეგენდად აღიქმულია.

ს. მეტიუზი ჯერ კიდევ შედარებით ახალგაზრდა ფეხბურთელი იყო, როცა მისი მთლიანი გამოსახულება დადგეს ქ-ნ ტისონ ცვილის ფიგურების მუხეუმში. იქ, სადაც მსოფლიოს გამოჩენილი ადამიანები და თვალსაჩინო მოღვაწენი დგანან. ეს უპრეცედენტო ამბავია.

ს. მეტიუზი პირველი ფეხბურთელი იყო, რომელსაც მიანიჭეს არისტოკრატიული ტიტული „სერ“.

ს. მეტიუზს ისევე იცნობენ საერთაშორისო საფეხბურთო წრეებში, როგორც ტ. დრეიკს, რ. ზამორას, ფ. პლანიჩკას, ა. ლაბრუნას და ფეხბურთის სხვა კორაფეებს, მაგრამ თუ მათი სახელები დღესათვის მხოლოდ ისტორიის კუთვნილებია, ს. მეტიუზი ახლაც თამაშობს ფეხბურთს და თამაშობს ე. წ. „უმაღლეს დონეზე“.

ეს დაუბერებელი, მარად ახალგაზრდა ფეხბურთელი დაიბადა 1915 წლის 1 თებერვალს. 15 წლის იყო სტენლი, როცა ოფიციალური საფეხბურთო მოღვაწეობა დაიწყო. პროფესიულ კლუბ „სტოკ-სიტში“, კლუბის მებატონე სადაც შეაჩინა ტალანტი აღსავსე, ცოცხალი ბიჭუნა, რომელიც მომავლისათვის დაიბევა იმით, რომ ბუცებს აწმენდინებდა და სხვა წვრილმან საქმეებს ავალდებდა 1 გირვანქა სტერლინგად კვირაში. ორიოდე წლის შემდეგ, კერძოდ 1932 წელს, ჰაბუჯი ს. მეტიუზი „სტოკ-სიტის“ პირველ გუნდში თამაშობდა მარჯვენა გარემარბად, ხოლო 20 წლის ასაკში იგი ავიდა ინგლისური ფეხბურთის უმაღლეს საფეხურზე: ს. მეტიუზი ეროვნულ ნაკრებში დააყენეს გერმანიის გუნდის წინააღმდეგ მატჩში.

ს. მეტიუზი ბრწყინვალე ფორვარდი იყო. მისი მეოხებით „სტოკ-სიტში“ დიდ წარმატებებს მიაღწია და პირველი ომის შემდგომ წლებში „ბლეკულს“ მატჩიდა 11,5 ათას გირვანქა სტერლინგად. თუ გაითვალისწინებთ მაშინდელი ინგლისის ეკონომიურ მდგომარეობას, ეს დიდი თანხა იყო. შემდგომში „ბლეკულს“ მარჯვენა გარემარბისათვის კონკურენტი კლუბები ათეულ ათასობით გირვანქა სტერლინგს იხდინდნენ, მაგრამ პასუხი ყოველთვის ერთი იყო: „სტენლი მეტიუზი არ იყიდება“.



ჩვენი გაზეთის მკითხველებმა შ. ქურხულმა და კ. ჯარაშვილმა (თბილისი) რედაქციაში გამოგზავნეს ასეთი წერილი: „ამ ბოლო ხანებში გაზეთებში გამოჩნდა ცნობები ინგლისელი ფეხბურთელის სტენლი მეტიუზის შესახებ, რომ იგი დაუბრუნდა თავის ძველ კლუბს. ვთხოვთ შეგვატყობინოთ ახალი ცნობები ს. მეტიუზის ამ „მოგზაურობაზე“.

სხვათა შორის, 1945 წელს, მოსკოვის „დინამოს“ მოგზაურობისას ინგლისში „არსენალმა“, რომელიც მაშინ ფაქტიურად კლუბების ნაკრებ გუნდს წარმოადგენდა, თავის შემადგენლობაში გამოიყვანა ს. მეტიუზი, რომლის წინააღმდეგაც ითამაშა დინამოელთა მარცხენა მცველმა ი. სტანკევიჩმა.

30 წელი გაატარა საფეხბურთო მინდვრებზე ს. მეტიუზმა. განსაკუთრებული მონაცემებით დაჯილდოებული სპორტსმენი შედარებულად იცავდა რეჟიმს და ამიტომ მიაღწია 46 წელს სრულ საფეხბურთო საქმიანობაში. მის საუცხოო თამაშზე ტომები დაწერილა, მაგრამ მეტიუზის თამაშის მანერა ყველაზე კარგად გამოხატა ინგლისის ეროვნული ნაკრების ცენტრალურმა თავდამსხმელმა ნ. ლოფტჰაუსმა: „ერთ-ერთ მატჩში მე ოთხი ბურთი გავიტანე თავით. ორი — მარჯვენა გარემარბის ს. მეტიუზის გადაცემიდან, ორიც — მარცხენა გარემარბის ტ. ფინეის მიწოდებიდან. და უნდა ვაღიარო, მეტიუზი ნამდვილი ჯენტლმენია. მან ისე მომამწოდა ბურთები, რომ მისი თასმებიანი მხარე არ მომხვედრია შუბლზე“.

მაგრამ, რაც არ უნდა ფენომენი იყოს ფეხბურთელი, 47 წელს მიღწეულს აღარ შეუძლია ითამაშოს ისე, როგორც ვთქვით, 25 წლის ასაკში. სტენლი საც გაუჭირდა თამაში ახალგაზრდა მცველებთან, რომლებიც მას უმცროს შეილებად გამოადგებოდნენ, ამიტომ მოახლოვდა „ბლეკულთან“ განშორების დროც. რას იზამ, პროფესიული საფეხბურთო კლუბი მხოლოდ მოგონებებით ვერ იცხოვრებდა. მას ახალი ფორვარდი ესაჭიროებოდა.

ამასობაში „სტოკ-სიტის“ საქმე უკულმა წავიდა. გუნდმა ჯერ დატოვა პირველი ლიგა, შემდეგ მეორე ლიგის გათამაშების ბოლოში მოექცა და ფინანსური კრახის წინაშე აღმოჩნდა.

საჭირო შეიქმნა საგანგებო ზომების მიღება და „სტოკ-სიტის“ დირექტორატმა კვლავ გაიხსენა ოდესღაც თავის რიგებში აღზრდილი, „მოხერხებული ლომი“ — სტენლი მეტიუზი: რა თქმა უნდა, ხელმძღვანელობას რომანტიკული ზრახვები არ ამოქმედებდა. სტენლი დაბერდა, ეს მართალია, მაგრამ „სტოკ-სიტის“ ახალგაზრდა ფორვარდებს მისი გამოცდილება და სტრატეგიული უნარი სწორედ ახლა ესაჭიროებოდათ, ხოლო რაც შეეხება „სტოკ-სიტის“ შეთხლებულ სეიფს, მის შესავსებად ს. მეტიუზის სახელი საუკეთესო რეკლამას წარმოადგენდა — მაყურებელი აუცილებლად მოვიდოდა.

„სტოკ-სიტში“ არ შეცდა. მის პირველივე მატჩს ს. მეტიუზის მონაწილეობით მაყურებელთა მაქსიმალური რაოდენობა დაესწრო და ამბობენ, რომ „მოხუცმა“ შესანიშნავად ითამაშა. ის რომ არა, „სტოკ-სიტის“ ვერ მოიგებდა თამაშს.

აი ასე მოხდა ლტოლვილი შეილის—სტენლი მეტიუზის დაბრუნება თავის აღმზრდელ კლუბში, მაგრამ აქ უნდა დავძინოთ კიდევ ერთი რამ: „ბლეკულსა“ და „სტოკ-სიტის“ თითქმის არც უვაჭრიათ ახალი კონტრაქტის შედგენისას: სტენლი მეტიუზი გაყიდულ იქნა სულ რაღაც 3 ათას სტერლინგად. ეს ბრიტანულ საფეხბურთო ბაზარზე ჩალის ფასია.

კატოციცეს (პოლონეთი) გაზეთი „სპორტი“ ათავსებს თავის სანტიაგოელი კორესპონდენტის წერილს სათაურით „სამხრეთი ამერიკა საშინო არ არის იაშინისა და იანოვისათვის“. კორესპონდენტი წერს საბჭოთა მწვრთნელის კაჩლინის დაწვევით განწყობილებასზე, რომელიც არ მოერიდა მოთამაშეთა ხშირ ცვლას. არგენტინელებთან ბრწყინვალე თამაშისათვის, პოლონელი მიომხილველი აქებს მთელ

განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ გარემარბები

გუნდს და განსაკუთრებით კი ორივე გარემარბს მეტრეველსა და მესხს. არგენტინელთა მთავარ ნაკლად მიომხილველს ნელი თამაში მიაჩნია. „სპორტის“ კორესპონდენტი ქვებით იხსენიებს ჩილელ მცველებს, რომლებმაც გააკეთეს ის, რაც არგენტინელებმა ვერაფრით ვერ მოახერხეს — ჩაქეტეს გარემარბები.

საერთოდ, ეს შეხვედრა საბჭოთა ფეხბურთელებმა რამდენადმე უარესად ჩაატარეს, ვიდრე პირველი. ეს, რა თქმა უნდა, ეხება თავდამსხმელებს. მიომხილველი აღნიშნავს ორივე მეკარის ესკუტისა (ჩილი) და მსლაჩენკოს ბრწყინვალე თამაშს.

ფეხბურთელებმა ჩილინებს ნამდვილი სპორტული გმირობა, რადგან ბუენოს-აირესსა და მონტევიდეოში უცხოელთა მოგება სრულიად უჩვეულო ამბავია. „რივერ-პლატას“ სტადიონზე უკანასკნელი წლების მანძილზე არგენტინელებს საერთოდ არ ახსოვთ წაგება, ჩილელებმა თავიანთ მოედანზე წელს დამა-

ჯერებლად მოუგეს მსოფლიო ექს-ჩემპიონს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდს (3:1), ხოლო ურუგვაელებმა თვით მსოფლიო ჩემპიონებს — ბრაზილიელებს (1:0). საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ესაა ბრაზილიის ნაკრების ერთადერთი დამარცხება მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ.

რედაქტორი ი. უპულავა